ბრძანება:**ბ34. 342431318**
თარიღი:**08/11/2024**

დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და ე.ვ[1] ქვეპუნქტების, ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და 90-ე-97-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეიქმნას დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა)კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, **გიორგი ბაჯაძე;**

ბ)კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **ნინო ჩინაშვილი.** (კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ)კომისიის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, **მარიამ ხაბეიშვილი** (კომისიის მდივანი მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით);

დ)კომისიის წევრები:

დ.ა)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, თეიმურაზ ჯერვალიძე;

დ.ბ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ანა მამაგეიშვილი;

დ.გ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ნინო მრევლიშვილი;

დ.დ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სოფიო ბოჭორაძე.

1.1კომისია უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით;

1.2კომისიის საქმიანობის მიზანია, დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სწრაფად და სრულად გამოვლენა დისციპლინური წარმოების პრინციპების დაცვით;

1.3 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას კომისია უფლებამოსილია:

ა)შეაგროვოს და შეისწავლოს გარემოებები/ფაქტები/ინფორმაცია, რაც საფუძვლად დაედო დისციპლინური წარმოების დაწყებას;

ბ)მიიღოს და გააანალიზოს წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა-განმარტებები;

გ)მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადასტუროს დისციპლინური გადაცდომის არსებობა ან არარსებობა;

დ)განსაზღვროს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;

1.4კომისიის ვალდებულებები:

ა)დისციპლინური წარმოების დაწყებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს კომისია უგზავნის შეტყობინებას დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, რომლითაც მას განემარტება მისი უფლებები, მოვალეობები. აგრეთვე, ეცნობება წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ, რომლის წარდგენის ვადაა - შეტყობინების ჩაბარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღე;

ბ)იმ შემთხვევაში თუ, წერილობითი ახსნა-განმარტება იქნება არასრული ან საჭირო გახდება დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, კომისია დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს განუსაზღვრავს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადას დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისთვის;

გ)კომისიამ უნდა უზრუნველყოს დისციპლინურ წარმოებაში იმ პირთა ჩართვა, მათ შორის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის და სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის ხელმძღვანელების, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის შესახებ;

დ)თუ დისციპლინური წარმოების მოსალოდნელი შედეგია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლების შეფარდება, კომისია ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მონაწილეობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-112 მუხლებით დადგენილი წესით; ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ პირს უნდა ეცნობოს 7 სამუშაო დღით ადრე.

1.5კომისიის სხდომის მიმდინარეობის შესახებ კომისიის მდივანი ადგენს სხდომის ოქმს;

1.6 კომისია დისციპლინურ წარმოებას ასრულებს დასაბუთებული დასკვნის შედგენით, რომელიც ეფუძნება დისციპლინური წარმოების დროს მოპოვებული მასალების ანალიზს;

1.7კომისიის დასკვნა, მისი შედგენიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს;

1.8 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის გადაწყვეტილებას.

3.დისციპლინური წარმოების ვადაა, მისი დაწყებიდან 1 (ერთი) თვე.

4.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი